საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1963 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№29 (6618) 21 ივლისი ხუთშაბათი

ეკონომიკა

## საწარმო მწყობრში დგება

რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე, არასტაბილურმა მდგომარეობამ, საწვავ-ენერგეტიკულმა კრიზისმა, ფულად-საკრედიტო სისტემის მოუწესრიგებლობამ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მინიმუმამდე დაცემამ ცაგერის სასურსათო კომბინატის საქმიანობაზე, დავალებების შესრულებაზეც იმოქმედა, რის გამოც შარშან და წლეულს კომბინატმა პრაქტიკულად ვერ შეძლო მუშაობის აწყობა და გარდა ალკოჰოლო სასმელებისა, ვერ გამოუშვა ვერცერთი სახის საკონსერვო პროდუქცია. ყოველივე ამან გამოიწვია საფინანსო — ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. საწარმო იმ დონეზე მივიდა, რომ დირექცია იძულებული გახდა დაეთხოვა და უხელფასო შვებულებაში გაეშვა მუშა-მოსამსახურეთა ორი მესამედი, ხოლო დარჩენილი ერთი მესამედის ხელფასები ამჟამად რესპუბლიკაში არსებული მინიმალური ხელფასის ერთ მესამედსაც კი არ შეადგენდა. კომბინატს არ გააჩნია საკუთარი საბრუნავი სახსრები, უფრო მეტიც-ამჟამად ბანკში სხვადასხვა ორგანიზაციების დავალიანება 5 მილიონ კუპონზე მეტია.

ყოველივე ამას თან დაერთო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-შესყიდვისათვის ნაღდი ფულის გამოტანისა და ბანკის სესხების გაცემის აკრძალვა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების სისტემის პარალიზება, ტრადიციული კავშირების შეწყვეტა. ამის შედეგია ის, რომ განვლილ პერიოდში საწარმოს არ მიუღია საკონსერვო პროდუქციის გამოსაშვებად ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: შაქარი, მინის ტარა, ხუფები, საწვავი და სხვა. სასურსათო კომბინატს კრიზისული, შეიძლება ითქვას, კატასტროფული მდგომარეობა შეექმნა.

მაგრამ რა რთულიც უნდა იყოს სიტუაცია, მისი გამოსწორების გზები, საშუალებები, იმედი არსებობს, სწორედ ამ საიმედო გზების ძიებაში ვიმყოფებით დღეს.

ჩავატარეთ სასურსათო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც განვიხილეთ კომბინატში არსებული მდგომარეობა. მივედით იმ დასკვნამდე რომ რადგან სახელმწიფო ბანკი არ გვაძლევს კრედიტებს, კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტები კომბინატისთვის ზარალიანია, დირექციამ მეპაიეებად გახადა თანამშრომლები, როგორც ეს ცეკავშირის წესდებითაა გათვალისწინებული. შეგროვდა გაცკვეული რაოდენობის თანხა, რითაც კომბინატს შეექმნა საკუთარი საბრუნავი სახსრები. შევიძინეთ კომერციულ ფასებში შაქარი და სხვა დამხმარე მასალები, მოსახლეობიდან ნაღდ ფულზე შევიძინეთ ალუბალი და დავიწყეთ მურაბების დამზადება, უკვე დღეისათვის მზად გვაქვს 1000 ფიზიკურ ქილაზე მეტი მურაბა, რომლის დამზადება გრძელდება.

ვემზადებით სეზონისათვის, დაწყებულია მანქანა-დანადგარების სარემონტო სამუშაოები, ამასთან მატერიალური დაინტერესების მიზნით მოსახლეობას ხელშეკრულების საფუძველზე ხილის საცვლოდ მივაწვდით კომბინირებულ საკვებს და სხვა პროდუქციას, შემოზიდული გვაქვს 25 ტონა მაზუთი, საჭიროა კიდევ შემოვიტანოთ 60 ტონა.

კომბინატის მზადყოფნასთან ერთად მთავარია ნედლეულის-ხილის მიღება. რაიონული საკრებულოს გამგეობამ დაამტკიცა სასოფლო საკრებულოების მიხედვით ხილის დამზადების გეგმა-გრაფიკი, ახლა მთავარია მისი შესრულება. ჩვენის მხრივ არ იქნება შეფერხება, მივიღებთ შავ ქლიავს, მოცვს, მაყვალს, მსხალს, საგვიანო ვაშლს.

გაურკვეველია ჩვენი ზემდგომის-ცეკავშირის აგროსამრეწველო ფირმა „თამარისის" პოზიცია მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისადმი. ფირმამ, განიხილა რა წლევანდელი გეგმები, ჩვენს კომბინატს დაუგეგმა 100 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, აქედან 15 პროცენტს გვიტოვებს ჩვენ ადგილზე რეალიზაციისათვის, ხოლო დანარჩენი მიაქვს საკუთარი მოხმარებისათვის. ასეთივე კვოტები დააწესა სხვა სახის პროდუქციაზე. მაშინ, როცა არავითარ დასაქონლებას ან დახმარებას არ გვიწევენ.

საჭიროა გაირკვეს ჩვენი საწარმოს მომავალი, ფაქტიურად დღეისათვის ორმაგდაქვემდებარებაში ყოფნა საწარმოსთვის არაფრის მომცემია. საჭიროა რაიონულმა გამგეობამ დააყენოს საკითხი სადაც საჭიროა და ცაგერის სასურსათო კომბინატი გამოეყოს ცეკავშირს და გადაეცეს ადგილობრივ მმართველობას მუნიციპალურ საკუთრებაში.

დღეს კომბინატის შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებაა გამოძებნოს შრომითი საქმიანობის ახალი, პროგრესული, ეკონომიკურად გამართლებული ვარიანტები და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საწარმომ იმუშაოს რიტმულად, რენტაბელურად და ქვეყანას მიაწოდოს სხვადასხვა სასურსათო პროდუქტი.

ო. ნემსწვერიძე,

ცაგერის სასურსათო კომბინატის დირექტორის მოადგილე.

## დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება

რესპუბლიკასა და რაიონში კვლავ მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობაა. ადგილი აქვს ყაჩაღობის, ბანდიტობის, ქურდობის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოტანისა და მოხმარების შემთხვევებს. რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველა ჯურის დამნაშავეებსა და დამნაშავეობას. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალ ყველა გზას აკონტროლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ძალები, შექმნილია საკონტროლო პუნქტები, გატარებული ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად იკლო დანაშაულობებმა.

ცაგერის რაიონული საკრებულოს განკარგულების შესაბამისად რაიონის ტერიტორიაზე კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესების და ხე-ტყის უკანონოდ გატანის აღკვეთის მიზნით რაიონის შემოსასვლელში სოფელ ოფიტარის ტერიტორიაზე თვენახევარზე მეტია მოქმედებს პოლიციის რაიონული განყოფილებისა და სახელმწიფო სატყეო მეურნეობის სადღეღამისო სამორიგეო პუნქტი, რომელშიც პოლიციასთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო საზოგადოების წარმომადგენლებს, როგორც ქალაქიდან, ისე საკრებულოებიდან. შედგენილ იქნა მორიგეობის გრაფიკი, მოეწყო მიმაგრებული მუშაკების თათბირი, ფიქცის ყველა [illegible] დაწესებულების [illegible] ანელმა თანხმობა გამოთქვა ამ დავალების შესრულებაზე. მორიგეობა თავიდან ორგანიზებულად დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო გამაფრთხილებელ პროფილაქტიკური მუშაობის გააქტიურებას როგორც დანაშაულობის, ასევე ხე-ტყის უკანონოდ გატანის აღსაკვეთად.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში ოფიტარის ტერიტორიაზე მორიგეობის წარმართვაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებები. კერძოდ, რიგი წარმოება-დაწესებულებების და სასოფლო საკრებულოს ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან გამგეობის თხოვნასა და განკარგულების შესრულების საქმეს, რის შედეგადაც მათი მუშაკები არ ცხადდებიან სამორიგეოდ გრაფიკის შესაბამისად. ეს ყველაზე უფრო შეეხება სახელმწიფო სატყეო მეურნეობის მუშაკებს, რომლებსაც მორიგეობის დაწყების დღიდან გაცდენილი აქვთ ოთხი მორიგეობა, რაიკოოპერატივის მუშაკებს-ორი მორიგეობა, ასევე მორიგეობა გააცდინეს საგადასახადო ინსპექციისა და ვეტსამკურნალოს მუშაკებმა. მორიგეობას თავს არიდებენ ზუბის, წიფერჩის, ლასურიაშის, ოყურეშის საკრებულოები, რომლებმაც არ უზრუნველყვეს მუშაკთა გამოცხადება სამორიგეოდ.

აღნიშნულ საკითხზე ამ დღეებში იმსჯელა რაიონული საკრებულოს გამგეობამ და დასახა ღონისძიება ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

აქტივის თათბირი

## ნგრევის დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად

იმსჯელეს 6 თვის შედეგებზე

როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა აქტივის რაიონული თათბირი დღის წესრიგით: „რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობისა და ამოცანების შესახებ", რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საკრებულოს შრომისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგე გულვერ ბრეგვაძე. გაიმართა კამათი.

როგორც მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ დღეს რესპუბლიკასა და რაიონში მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციაა. ადამიანთა მეტი წილი გადასცდა უკიდურესი სიღატაკის ზღვარს. შრომის ანაზღაურებად მიღებული კუპონები გაუფასურებულია, ფარატინა ქაღალდად იქცა, მასზე არაფერი იყიდება. შეიძლება ითქვას, რაიონის სახალხო მეურნეობა პარალიზებულია. ადამიანები სოფლის მეურნეობას შეჰყურებდნენ იმედის თვალით და ბუნებამაც უმუხთლა, მესამე თვეა გვალვა მძვინვარებს, გადაწვა ნათესები, დაზიანებულ ვენახები. ამ საერთო

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნგრევის დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად

დასასრული

გაჭირვებიდან გამოსასვლელად საჭიროა თითოეული მუშაკის, მოქალაქის დიდი ძალისხმევა და მიზანმიმართული მუშაობა, რათა მოიძებნოს ძალზე რთული, კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსვლის ოპტიმალური გზები და დავსახოთ რეალური პერსპექტივები.

აქტივის ყველა თათბირსა თუ სხვა ღონისძიებებზე ბევრჯერ ითქვა, აღინიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა მდგომარეობამ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი, სოფლის მეურნეობა კატასტროფის პირამდე მიიყვანა და ფაქტიურად განადგურდა. ეს პროცესი კვლავ გრძელდება, რის გამოც სოფლის მშრომელი დაუცველი აღმოჩნდა, გლეხს სოფელსა თუ ქალაქში სირბილი დასჭირდა, რათა ეშოვა საწვავი, სასუქი, შხამქიმიკატები, მაშინ როცა კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილი მომსახურების საწარმოები ფორმალურად არსებობენ, მიწის პრივატიზაციის განხორციელებისათვის ჯეროვნობით ბევრი არაფერი გაკეთებულა მიწის პრივატიზაციის ჩამტარებელი კომისიების უმოქმედობის გამო.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია მომსახურეობის საწარმოები დაიქვემდებარონ სასოფლო საკრებულოებს, დაჩქარდეს მიწის პრივატიზაცია, რასაც უნდა მოჰყვეს მიწაზე სახელმწიფო გადასახადის დაკანონება, ამასთან შესაძლებელია სოფლად შეიქმნას ფერმერული გაერთიანებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას და გაზრდას.

სამრეწველო ორგანიზაციებიდან რაიონში დღეს მუშაობს მხოლოდ ლაჯანურჰესი. რაც შეეხება მრეწველობას, სასურსათო და ღვინის საწარმოებს, ეს **სიმძლავრეები** დიდი ხანია უმოქმედოდ დგანან, თუმცა მათ მუშაობაში ამ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები.

სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან სამშენებლო ორგანიზაციები, მართალია, ჩვენდა საბედნიეროდ შენარჩუნებულია რაიონის სამშენებლო სიმძლავრეები, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა უმოქმედობა, ეს საშუალებებიც ხელიდან გაგვიქრება, რადგან დღეს სამშენებლო ორგანიზაციათა უმრავლესობა არ მუშაობს ფულადი თანხებისა და სამშენებლო მასალების უქონლობის გამო.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს კომუნალური მეურნეობის სამსახური. ქალაქის ქუჩები ჯერ კიდევ მოუვლელია და გადათელილია პირუტყვის და ღორებისაგან, ჩახერგილია ქუჩები შეშით თუ სამშენებლო მასალებით, წყვეტილობაა წყლით მომარაგებაში, კომბინატს ხელი ეშლება მუშაობაში საწვავისა და სხვა საჭირო მასალების უქონლობით.

მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია ეკონომიკა და ფინანსები. წარმოების დონის დაცემამ გააძლიერა ჰიპერინფლაციური პროცესები, ცხოვრების ღირებულების ყოველდღიურმა ზრდამ და კუპონის გაუფასურებამ გააღრმავა დისპროპორცია მოსახლეობის შემოსავალსა და ხარჯებს შორის.

წლეულს 6 თვეში ბიუჯეტის შემოსავალმა 0.573,0 მილიონი კუპონი შეადგინა, ხოლო ხარჯმა 5.331,2 მილიონი კუპონი, დეფიციტის დაფარვა მოხდა გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფით. ფასების ლიბერალიზაციამ და ხელფასების მატებამ კიდევ უფრო გაზარდა ბიუჯეტის მოცულობა. ამიტომ რადიკალური ზომები უნდა გატარდეს და ყველა წყარო უნდა გამოინახოს, რათა მოხდეს შიდა რეზერვების სრული მობილიზაცია და ამოქმედება, მიღწეულ იქნას შემოსავლების ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

რაიონის მატერიალურ რესურსებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტყეს. ხე-ტყის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის მიზნობრივი და და გეგმაზომიერი გამოყენებით შეიძლება ნაწილობრივ გადაიჭრას ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფო და სამეურნეობათშორისო სატყეოების ხელმძღვანელებს საწვავის უქონლობისა და სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო დღემდე არაფერი გაუკეთებიათ ხე-ტყის დამზადებისა და რეალიზაციის გეგმის შესასრულებლად.

რესპუბლიკასა და რაიონში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რაიონში კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებას. გასულ 6 თვეში რაიონში მოხდა 50 სისხლის სამართლის დანაშაული, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 22 ერთეულით მეტია. სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნის პროცენტია 22. წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებულია ყაჩაღობის 7 ფაქტი, რომელთაგან ყველა გაუხსნელია.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა პოლიციას ეკუთვნის, მაგრამ მათ ბევრი პრობლემა უშლის ხელს მუშაობაში. პირველ ყოვლისა არ მოხერხდა განყოფილების დაკომპლექტება კადრებით, კვლავ სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არ აქვთ საწვავი. არ ყავთ ავტომანქანები, თუმცა საიდან ეყოლებათ განყოფილების კუთვნილი ერთადერთი ავტომანქანა „ნივა" განყოფილების ყოფილმა უფროსმა ო. ახვლედიანმა შეისყიდა და წაიყვანა რაიონიდან.

უკანასკნელ პერიოდში კარგი ნაბიჯი გადაიდგა რაიონში, მოეწყო ლაძგვერიაში საკონტროლო პუნქტი, სადაც მილიციის მუშაკებთან ერთად უნდა მორიგეობდნენ სატყეო მეურნეობების მუშაკები და წარმოება-დაწესებულებათა აქტივი, მაგრამ სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში გარდა მილიციის მუშაკებისა, სხვები თავს არიდებენ მორიგეობას. უკანასკნელ წლებში ბევრი წარმოება დაწესებულება სხვადასხვა მიზეზით თავს არიდებს არასაუწყებო დაცვასთან ხელშეკრულების გაფორმებას საზოგადოებრივი ქონების დაცვაზე, არადა საზოგადოებრივი ქონების დაცვის ერთ-ერთი საშუალება იგია.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო განათლების სისტემაში შექმნილ ვითარებას, რომ ძალზე ცუდია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, 4 წელია მიმდინარე და კაპიტალური რემონტისათვის არ გამოყოფილა ფულადი თანხები. 12 სკოლაში თუ არ ჩატარდა კაპიტალური რემონტი, ახალი სასწავლო წლის დაწყება შეუძლებელი იქნება. ამიტომ მოითხოვეს კაპიტალური რემონტისათვის 7 მილიარდი კუპონის გამოყოფა, ამასთან დაჩქარდეს სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების შეშით და თუნუქის ღუმელებით მომარაგება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია-პედაგოგებს არ მიუღიათ ზაფხულის ხელფასები, მაშინ როცა სამ კვირაზე მეტია საზაფხულო არდადეგებზე არიან წასული. თათბირზე დაისვა საკითხი, რომ მიწების პრივატიზაციის დროს სოფლად მცხოვრები პედაგოგთა ოჯახები გათვალისწინებულ იქნენ პირველ კატეგორიაში, რათა მიიღონ შესაბამისი მიწის ფართობი.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში არსებულმა არასტაბილურმა მდგომარეობამ ყველაზე უარყოფითად ვაჭრობის სფეროზე იმოქმედა. რაიონის ვაჭრობის სისტემის მუშაკები არ აღმოჩნდნენ სათანადოდ მომზადებულნი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობისთვის კომერციული საქმიანობის დაბალი დონისა და რესპუბლიკაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ გამოძებნეს სასაქონლო რესურსები სამომხმარებლო ბაზრის დეფიციტის შესავსებად.

გასულ 6 თვის მანძილზე რაიონში არ შემოსულა აუცილებელი პირველი მოთხოვნილების საქონელი—მარილი, ნავთი, [illegible], შაქარი და სხვა, რის გამოც მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს. ამ დღეებში რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობამ დაუშვა საპნის შეძენისა და რეალიზაციის ისეთი სასაქონლო ოპერაცია, რომელმაც სამართლიანად აღაშფოთა რაიონის მოსახლეობა—13 ივნისს მოქალაქისაგან შეისყიდეს 450 ცალი კუსტარულად დამზადებული უვარგისი საპონი, რაშიც გადაიხადეს 112 მილიონი კუპონი. დარიცხვის შემდეგ იგი გასასყიდად გაიტანეს ქსელში, 1 ცალი 337 ათას კუპონად. საქონელი სწრაფად გაუვარგისდა, უხარისხობისა და სიძვირის გამო არ მოხდა მისი რეალიზაცია და დღესაც მთლიანად ნაშთად არის რაიკოოპერატივში, რამაც ისედაც მძიმე საფინანსო მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

აქტივის თათბირზე ასევე ვრცლად იყო საუბარი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, საავთიაქო ქსელის მუშაობის, კავშირგაბმულობის საშუალებებით მშრომელთა მომსახურების, მიწის პრივატიზაციის დაჩქარების, რაიონში მცხოვრებ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვა-რეგისტრაციის და სხვა საკითხებზე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ **კარლო მუშკუდიანმა.**

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში დაიწყო და მიმდინარეობს ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. აქედან გამომდინარე დიდი ამოცანები დგას რაიონის სამართალდამცავი ორგანოების, თითოეული წარმოება-ორგანიზაციის წინაშე. მეტად უნდა გააქტიურდნენ პროკურატურის, მილიციის, სახალხო სასამართლოს მუშაკები. ისინი ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობით ყველაფერს უნდა აკეთებდნენ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობისათვის, მომხდარ დანაშაულთა გახსნის და დამნაშავეთა დაკავებისთვის. მილიციის მუშაკები ხშირად უნდა იყვნენ ქალაქის ქუჩებში, სოფლად აწყობდნენ რეიდებს და სხვა ღონისძიებებს. მოითხოვა, რომ დროულად გაიხსნას მილიციისა [illegible] ივის მონაწილეობით საკონტროლო პუნქტი ქორენიშის ბოლოს.

ილაპარაკა რა რაიონის ეკონომიკის, საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების, რაიონის ბიუჯეტის შევსების გზებსა და საშუალებებზე, დიდი ამოცანები დაუსახა ამ საქმეში რაიონის საგადასახადო ინსპექციასა და კონტროლის პალატას. ამასთან მოითხოვა მრეწველობის განყოფილებისაგან ხელი მოკიდოს რაიონში არსებული რეზერვების ამოქმედებას, ეს ეხება ოროსლვეს, მინერალურ და წყაროს წყლებს, სამშენებლო ქვებს, ინერტულ სამშენებლო მასალებს, ხე-ტყეს, რომელთა ათვისებისათვის საჭიროა გამოინახოს პარტნიორები და სპონსორები, რითაც რაიონის ბიუჯეტს დიდი შემოსავლის მიღება შეუძლია.

მეტ დახმარებას მოითხოვს განათლების, ჯანმრთელობის და კულტურის სისტემა, მათი ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. მოითხოვა შეიქმნას ჯგუფი სპეციალისტებისა, რომლებიც შეიმუშავებენ რაიონის განვითარების კონკრეტულ გეგმას, რომელიც იქნება ყველასათვის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

სამართლიანად მიუთითა რიგ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ მათი ეზოები თუ მიმდებარე ტერიტორიები დანაგვიანებულია, არ ზრუნავენ სანიტარული წესრიგის დაცვისათვის. შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმოქმედობით არ დაადგა საშველი მშენებარე 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლიდან უნებართვოდ შესახლებულთა გამოყვანას და მის კანონიერად განაწილებას. მოითხოვა დაჩქარდეს „სამტრესტის" ცაგერის ღვინის ქარხნის, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის პრივატიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მოსახლეობის ინფორმირების საკითხს, რომ თითოეულ მშრომელამდე მივიდეს ზემდგომ ორგანოთა თუ რაიონული საკრებულოს გადაწყვეტილებები, აქტივის თათბირების მასალები. ამ საქმეში გარკვეული როლი უნდა შეასრულოს რაიონულმა გაზეთმა „ლეჩხუმმა" და მისმა რედაქციამ.

თათბირის მუშაობამ გვიჩვენა, რომ რაიონის ცხოვრებაში ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემაა. ამიტომ ყველას ვალია საზოგადოებრივი წესრიგის, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებით უმოკლეს დროში შეჩერებულ იქნას უკუსვლის და ნგრევის დამღუპველი პროცესი და ვიზრუნოთ აღმშენებლობითი საქმიანობის დაჩქარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური სფერო

# პერსპექტივაში ბევრია ჩაფიქრებული

ქვეყანა უკიდურესი გაჭირვების ზღვარს გასცდა, უჭირთ პენსიონერებს, მარტოხელებს, ინვალიდებს, ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს. ერთი სიტყვით დღეს სოციალურად ყოველი მეორე ოჯახი დაუცველია, მაგამ ეს ფენა მაინც ყოველმხრივ გასაჭირშია. წელს რაიონში სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან შეიქმნა სოციალური მომსახურების განყოფილება. რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით შექმნილია მარტოხელა და შრომისუნარდაკარგულ მოქალაქეთა, პენსიონერთა და ინვალიდ ბავშვთა დახმარების ფონდი, რომელსაც სოცმომსახურების განყოფილების გამგე ბატონი პავლე ბაკურაძე განაგებს, მარტოხელებს ბევრი რამ აინტერესებთ, უნდათ სიმართლე იცოდნენ. შევხვდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ ბატონ პავლე ბაკურაძეს, რომლის პასუხი, ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

**—რამდენი მარტოხელაა რაიონში თქვენს მიერ სოცმომსახურებაზე აყვანილი და რა დახმარებას უწევთ მათ?**

შედგენილი და დაზუსტებულია რაიონში მცხოვრები მარტოხელების სია. მათი რიცხვია 500. ამჟამად 1 ივნისის მდგომარეობით 155 მარტოხელა, ისინი, ვისაც საერთოდ არავინ არა ჰყავთ მზრუნველი, ბინაზე მომსახურებაზე გვყავს აყვანილი, როცა რაიონში წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების მიერ შემოვა ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, წარვადგენთ სიას და გამოგვიყოფენ თუ არა, სოციალური დახმარების მუშაკი სიის მიხედვით მიიღებს იმდენ ყუთ ჰუმანიტარულ დახმარებას, რამდენიც ბინაზე მომსახურებაზეა აყვანილი. აღნიშნული განყოფილება წელს შეიქმნა და ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ, ამ რამდენიმე თვის წინ წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის ეგიდით შემოსული ჰუმანიტარული ტვირთიდან გამოგვიყვეს 60 ყუთი, რაც მხოლოდ 60 მარტოხელაზე და ნაკლებად უზრუნველყოფილზე გავეცით. კონტაქტი მაქვს რაიონის წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების თავმჯდომარესთან. რაიონში ამას წინათ კიდევ შემოვიდა რამდენიმე ათეული ყუთი ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ იგი იმდენად ცოტა და არასაკმარისი იყო, რომ უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, უკან იქნა გაბრუნებული.

**—რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით დიდი ხანი არაა რაც შეიქმნა მარტოხელა შრომისუნარდაკარგულ მოქალაქეთა, პენსიონერთა და ინვალიდ ბავშვთა დახმარების ფონდი, რომელსაც თქვენ განაგებთ, რა შეგიძლიათ თქვათ ამ ფონდის შესახებ**

ეს ფონდი რაიონში წელს, იანვრის ბოლოს შეიქმნა და სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების და ალვის საკრებულოს მიერაა ჩარიცხული თანხა, რაც ყოველ კვარტალში ერთი თვის ხელფასის ერთ პროცენტს ითვალისწინებს. სულ დღეისათვის ფონდის ანგარიშზე მხოლოდ 204.842 ათასი კუპონია. მინდა შემთხვევა გამოვიყენო და ყველა დაწესებულებას თუ ინდივიდუალურ პირს ვთხოვო გადმორიცხონ თანხები. ამ ფონდიდან დახმარებას გავუწევთ რაიონში მცხოვრებ ყველა მარტოხელა და შრომისუნარდაკარგულ მოქალაქეს, პენსიონერს და ინვალიდ ბავშვებს, ყველას, ვინც დახმარებას საჭიროებს, მიუხედავად მას შვილი და სხვა მზრუნველი ჰყავს თუ არა ჰყავს.

**პერსპექტივაში რა გაქვთ ჩაფიქრებული, რა დახმარებას გაუწევთ მარტოხელებს და ნაკლებადუზრუნველყოფილ ოჯახებს?**

სხვახაირად ნურავინ ჩამომართმევს და შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროში ამ საქმეს ვემსახურებოდი. ასე, რომ შეიძლება ითქვას ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს და თუკი ვინმე ენთუზიასტი გამოჩნდა, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, გვინდა გავხსნათ საწარმო, სადაც ხელსაქმის ოსტატებს, ხელოსნებს თუ მეავეჯეებს გავაერთიანებთ, შეიძლება ასეთი ხალხი იმ მარტოხელებიდან იქნეს, ვისაც ვემსახურებით. დავიწყებთ პროდუქციის გამოშვებას, ისინი როგორც მარტოხელის საწარმოს მომსახურების მუშაკები, არ დაიბეგრებიან. ჩვენი მუშაობა ქველმოქმედების საფუძველზე უნდა წარიმართოს, ამიტომ ურთიერთობა უნდა დავამყაროთ საქველმოქმედო საზოგადოებებთან, ეკლესიასთან. საქველმოქმედო ღონისძიებებიდან გარკვეული თანხა მარტოხელების დასახმარებლად გადაირიცხება. პერსპექტივაში ისიცაა გათვალისწინებული, რომ შევქმნათ უფასო კვების ორგანიზაცია მარტოხელებისათვის, ამის შესახებ საუბარი გვქონდა პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორ ბატონ ჯიბილო მიქაძესთან, რადგან ამის გაკეთებას ამ სასწავლებლის სასადილოში ვფიქრობთ. ამისათვის მოვძებნით და ავიყვანთ სპონსორს, რომელიც იკისრებს გადარიცხოს თანხა სასადილოზე და იქ მარტოხელა უფასოდ მიიღებს კერძებს. მაგრამ ჯერჯერობით საამისო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არაა და არც სპონსორი ჩანს.

მარტოხელების მორალური და მატერიალური დახმარების მიზნით კიდევ ბევრი რამ გვაქვს გათვალისწინებული, თავიდათავი მაინც მარტოხელებთან ხშირი კონტაქტი და ურთიერთობაა. იმ საწარმოებმა, რომლებიც ლიკვიდირებული არაა, არ უნდა დაივიწყონ ის თანამშრომლები, რომლებიც პენსიაზე არიან, არ გათხოვილან ან ოჯახი არ შეუქმნიათ და მარტოხელებად დარჩნენ. მიიწვიონ უნდა ისინი სადღესასწაულო ან საიუბილეო ზეიმზე, რაც მათ მორალურ გამხნევებას და სიცოცხლის გახანგრძლივებას შეუწყობს ხელს.

პერსპექტივაში კიდევ ბევრი რამ გვაქვს გათვალისწინებული, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

## ასეთი გვალვა ლეჩხუმს

## არ ახსოვს

მესამე თვეა ლეჩხუმში გვალვაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მაისსა და ივნისში რომ მოვიდა მცირე წვიმა, რომელმაც ოდნავაც ვერ დაასველა ნიადაგი.

ასეთი გვალვა კარგა ხანია არ ახსოვს ლეჩხუმს. განსაკუთრებით ივნისის ბოლოსა და ივლისში ტემპერატურამ ჩრდილში 30 გრადუსს გადააჭარბა. მართალია, ნათესები დამუშავდა, მაგრამ მასში მოსახლეობამ ვერ შეიტანა სასუქები, თუ შეიტანა იგიც ზედაპირზე დარჩა, ან აორთქლდა. პაპიროსის ქაღალდივითაა დახვეული სიმინდის ფოთოლი, ლობიოს ნათესები ხმება, ამას ზედ დაერთო ლობიოს დაავადება და ალბათ სათესლე ლობიოსაც ვერ მოიწევს ლეჩხუმელი გლეხი. ხილის ნაყოფი სინესტის ნაკლებობის გამო წვრილი დარჩა, ზოგან ჭიშმა ჩამოყრაც დაიწყო, ამასთან ნაადრევი სიყვითლეც შეეპარა ხის ფოთოლს, დაშრა წყაროები, ნაკადულები, დაიკლო მდინარეებმა.

გვალვებმა განსაკუთრებით შეაწუხა რაიონის ხეობის სოფლები ალპანა, აჭარა, ზოგიში, ტვიში და სხვები, რომლებიც მშრალ ნიადაგებზეა გაშენებული.

თუ ასე გაგრძელდა, სოფლის მოსახლეობა მცირე მოსავალსაც ვერ მიიღებს. რესპუბლიკის ისედაც გაჭირვებულ ეკონომიკას კიდევ ახალი უბედურება ელის.

ფოსტა

# მადლი ჰქენი...

ვარ სამი შვილის დედა, დევნილის ხვედრი მარგუნა ბუნებამ და სოხუმიდან ლტოლვილი მქვია, ამჟამად სოფელ ისუნდერში ლიანა ჩიქოვანის ოჯახში ვცხოვრობ. ამ ცოტა ხნის წინ სამივე შვილი ავად გამიხდა, ყოველ დღე უარესდებოდა ბავშვების მდგომარეობა, სიცხე ვერ ჩავუქრე პატარებს, შეძლებისდაგვარად თავს დაგვტრიალებდა სოფლის ახალგაზრდა ექთანი ქ. ჩაკვეტაძე, მაგრამ ვერაფერს გავხდით, გადავწყვიტე ბავშვები ცაგერის რაიონულ საავადმყოფოში გადამეყვანა. ტრანსპორტის მხრივ გასაჭირი ყველასათვის გასაგებია, და ასეთ ურთულეს პირობებში, პაპანაქება სიცხეში სამი ავადმყოფი ბავშვით ცაგერისაკენ მიმავალ გზას დავადექი. ღმერთმა არ დალიოს მადლიანი ხალხი, ატირებული ბავშვებით მიმავალნი რომ დაგვინახა, შევებრალეთ ქიგულის მძღოლს, რომელიც გზაზე წამოგვეწია და ნამკაშურის ხიდამდე მიგვიყვანა, საწვავის უქონლობის გამო ბოდიში მოგვიხადა და აქედან ფეხით გავაგრძელეთ გზა, როგორც იქნა მკვდარ-ცოცხლებმა ცაგერამდე მივაღწიეთ. მთელი ყურადღებით გასინჯა ბავშვები ექიმმა ლია ჩიქოვანმა, 39—40 გრადუსი ტემპერატურა, სასწრაფო ზომები მიიღო ექიმმა ცირა მანდარიამ, რომელმაც ყველა საჭირო დანიშნულება მიაწოდა ბავშვებს და საავადმყოფოში მოათავსა.

მეორე დღეს ექიმმა ნარგიზა ჭაბუკიანმა გასინჯა ჩემი პატარები და დაუწყო მკურნალობა, საკუთარივით შეიყვარა პატარები ექიმმა და ყოველ მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ. წამლებთან ერთად ნარგიზა ექიმი ოჯახიდან საკვებსაც აწვდიდა პატარებს. სამი კვირა დავყავით საავადმყოფოში და თავს საკუთარი ოჯახივით ვგრძნობდით.

ვიცოდი რომ ლეჩხუმელები განსაკუთრებით სტუმართმოყვარე და ყურადღებიანი ხალხია, რაც ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენი, როცა სამშობიარო განყოფილებაში მესამე შვილის შეძენისას ვიწექი. ნათელა ექიმმა სამახსოვრო პატივი დამდო, არასდროს დავივიწყებ მის დიდ მზრუნველობას და პატივისცემას.

მადლობა და კიდევ ერთხელ მადლობა ბავშვთა განყოფილების ყველა მომსახურე პერსონალს ნარგიზა ექიმის ხელმძღვანელობით ჩემი და ჩემი შვილებისადმი ესოდენ დიდი ყურადღებისათვის.

**ტანია ჩიქოვანი.**

რეზონანსი

# ერთი უზუსტობის გამო

გაზეთ „ლეჩხუმის" წინა ნომერში კორესპონდენტთან საუბარში კულტურის განყოფილების გამგემ ო. ჭაბუკიანმა აღნიშნა, რომ განზრახული აქვთ დადგან გრიგოლ მდივნის პიესა „ლაწუნდარა".

როგორც იტყვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული პიესა ეკუთვნის არა გ. მდივანს არამედ კონსტანტინე (კოწია) ექვთიმეს ძე ახვლედიანს, იგი შექმნილია ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით. გ. მდივანმა პიესის დადგმა განახორციელა.

ამ უზუსტობისათვის შეიძლებოდა ყურადღებაც არ მიგვექცია, რომ კ. ახვლედიანის ნაწარმოების მითვისების მცდელობას ადრეც არ ჰქონოდა ადგილი.

**ჯემალ სალინაძე.**

* * *

**რედაქციისაგან: როგორც გამოირკვა, პიესა „ლაწუნდარას" დედანი ინახება კულტურის განყოფილებაში, ასლი — მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გადაბეჭდილია რემექტონზე, ჩასმულია სტამბური წესით ყდაში, დამტკიცებულია ყოფილი მთავლიტის მიერ 1961 წლის 14 აგვისტოს. მასზე ავტორად მითითებულია გრიგოლ მდივანი, თანაავტორად კოწია ახვლედიანი.**

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

# გილოცავთ

მაია, ანზორ კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

იზო გოგოხიძეს, ლილი გენდელიანს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

იზო, ნინო, ნანა კოპალიანებს
გილოცავთ პატარა გახვას დაბადებას. მარადჟამს ღირსეულად ეტარებინოს დიდი გახვას სახელი.
**ნუნუ, ნათელა კოპალიანები.**

---

მაია, ანზორ კვირკაშვილებს
ქენია, ბიჭიკო გახსოლიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები.**

---

მარინე, იუზა დაშნიანებს
გილოცავთ ლელას ბედნიერებას. სულ სიხარული და ბედნიერება დაგბედებოდეთ.
**ლეილა თამაზ ლეთოდიანები ოჯახით.**

---

იზო გოგოხიძეს, ლილი გენდელიანს
ლალი, გიორგი, ნინო, ამირან კვირკაშვილებს
გილოცავთ შვილებისა და შვილიშვილების შეძენას.
**ვაჟა კოპალიანი, როლანდ ჩხეტიანი ოჯახებით.**

---

ნინო, ამირან, ლალი, გიორგი ლილი კვირკაშვილებს
იზო გოგოხიძეს
გილოცავთ შვილებისა და შვილიშვილების შეძენას.
**ჯიბილო, სერგო, გორია მიქაძეები, იაგო ყურაშვილი ოჯახებით.**

---

ქეთინო ბერიძეს
გილოცავ დაბადების დღეს, გფარავდეს მაღალი ღმერთი.
**ქეთინო ირემაძე.**

---

ნინო, ამირან კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიანობას, პატარა გახვას შეძენას.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

მაია და ანზორ კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ნუცა, ნოდარი, გელა, მამუკა გიორგი ანდრო.**

---

ნატო მიქაძეს, ჯონდო ბაკურაძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
**ქეთინო, ხათუნა, ნათია კოპალიანები.**

---

ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.
**ქეთინო, ხათუნა, ნათია კოპალიანები.**

---

მაია ბახსოლიანს ანზორ კვირკაშვილს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**გიგო ლიპარტელიანი ოჯახით.**

---

ნინო, ამირან კვირკაშვილებს
იზო გოგოხიძეს, ნანა, გოგი გოლეთიანებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ სასახელო ბიჭი.
**გიზო, გელა გოლეთიანები ოჯახით**

---

ნატალი მიქაძეს, ჯონდო ბაკურაძეს
გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ სიკეთეს.
**თინიკო შკუბულიანი.**

---

ნატო მიქაძეს, ჯონდო ბაკურაძეს
გილოცავთ ბედნიერებას იმრავლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ აწ და მარადის.
**განათლების განყოფილების მუშაკები.**

---

ნატო მიქაძეს, ჯონდო ბაკურაძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
**ნათია, ლაშა, სოსო ჯიაძეები.**

---

მაია გუგავას, დათო სალინაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
**რაიაგროშემის თანამშრომლები.**

---

შორენა!
გილოცავთ დაბადების დღეს.
**როსტომი, გიორგი.**

---

მამუკა ფირცხალავას
გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებს.
**ნათია, ლაშა, სოსო.**

---

იამზე, შერმადინ გოლეთიანებს
ნანა, ოთარ გოლეთიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის პატარა ემზარის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**დალი, ენთაზ, მალხაზ, ზაზა ირემაძეები.**

---

ციცო, ნესტან, ჯემალ, ჯონი ხეცურიანებს
გილოცავთ თემურის ბედნიერებას.
**ციცო გოგოხიძე.**

---

ლილი, ნინო, ამირან კვირკაშვილებს
იზო გოგოხიძეს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
**გია ლეთოდიანი.**

---

ლალი, გოგი კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

ნონა ჩაკვეტაძეს, სპარტაკ გვასალიას
გილოცავთ ვაჟიანობას.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

ამირან და გოგი კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილების შეძენას.
**დენდურ გენდელიანი ოჯახით.**

---

ანზორ, მაია კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი.
**დენდურ გენდელიანი ოჯახით.**

---

ნათია მიქაძეს
გილოცავთ ნატოს ბედნიერებას.
**ეკა ცვარიანი.**

---

ფოთოლა, ამირან ფუტკარაძეებს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ნინო, კახა, ირაკლი, ალუდა.**

---

ნონა ჩაკვეტაძეს, სპარტაკ გვასალიას
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ბადრი კილაძე, ზაურ კვირკაშვილი, თამაზ ყურაშვილი ოჯახებით.**

---

მაია ბახსოლიანს, ანზორ კვირკაშვილს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ზაური და ზურაბ კვირკაშვილები ოჯახებით.**

---

## ხსოვნა

### შალვა მათეს ძე ლურჯუმალიძე

კიდევ ერთი დიდებული კაცი წავიდა ამა ქვეყნიდან, შრომისა და ომის ვეტერანი შალვა მათეს ძე ლურჯუმალიძე.

ნასპერელი შალვა ლურჯუმალიძე 1938 წელს ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა აგროტექნიკოსად, საიდანაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, აქედან ომში წავიდა, ომის დამთავრებამდე იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე, რაც აღინიშნა ოთხი ორდენით, მედლებითა და მთავარსარდლის მადლობით.

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ნასპერის სკოლაში სამხედრო მასწავლებლად, ნასპერის კოლმეურნეობაში ფერმის გამგედ, ბრიგადირად, ლვირიშის სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

სადაც კი უმუშავნია, შალვას იცნობდნენ როგორც ერუდირებულ კაცს, ღირსეულ მოქალაქეს.

განსაკუთრებით გვაკლია მისი სითბო და კაცურკაცობა მის დიდ ოჯახს, დედმამიშვილებს, დისშვილებს, ყველა ახლობელს, გვაკლია მისი ჭკუა და დარიგება.

მის დიდ ოჯახში სიცოცხლე გრძელდება, მის ნათელ ხსოვნას აჩრდილი არასოდეს დაადგება.

**დისშვილები.**

---

თინა ახვლედიანი, მანანა მუშკუდიანი, ნაირა ფუტკარაძე, ზაურ ბენიძე, შოთა სანთელაძე, კოლია ჩაკვეტაძე, ოლეგი ქარსელაძე, გრიგოლ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ზაირა შკუბულიანს გამიდის
**ნინა ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ნაირა ფუტკარაძე ოჯახით თანაუგრძნობს გუჟუ სვანიძის ოჯახს
**ლოლას**
გარდაცვალების გამო.

---

ვანო სალინაძე ოჯახით იუწყება ძმისშვილის
**რუსიკო ვასოს ასული სალინაძის**
გარდაცვალებას.

---

გელა კოპალიანი თანაუგრძნობს ამირან, გოგი კვირკაშვილებს ბიძის
**მურმანის**
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები იუწყებიან
**ნინა ესტატეს ასული ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

სოსო დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ვალოდია დავითულიანის ოჯახს
**თემურ ურთმელიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ქეთი სვანიძე, ნატო მამარდაშვილი, ანა მეშველიანი თანაუგრძნობენ თამუნა გურჯალიანს მამის
**რეზო გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი და ემზარ დავითულიანებს სიძის
**მურმან კვირკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

იზოლდა გოგოხიძე, გოგი გოლეთიანი, ლაშა გურჯალიანი, გელა კოპალიანი ოჯახებით! თანაუგრძნობენ ლილი კვირკაშვილის ოჯახს
**მურმან კვირკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მ. გურჯალიანი თანაუგრძნობენ ეერაზ გელოვანს ბაბუის
**ვალიკო გელოვანის**
გარდაცვალების გამო.

---

გორის ჭაბუკიანი ოჯახით თანაუგრძნობს ეთერ და ამბერკი სილაგაძეებს ძმის
**მურმან კვირკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ალბერტ ფოჩხიძე, გუხუტი მეშველიანი, ომარ ახვლედიანი, ინგელ კეკუტია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გრიშა მელქიზის ძე ბახსოლიანი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯემალ, ზურაბ ხეცურიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია და კაკო ჩხეტიანებს მეუღლისა და ძმისშვილის
**მურთაზის**
გარდაცვალების გამო.

---

დადაში ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ამბერკი სილაგაძის ოჯახს
**მურმან კვირკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ნონა სვანიძე, რუსუდან შკუბულიანი თანაუგრძნობენ მზია გელოვანს ბიძის
**ვალიკო გელოვანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნანული გუგავა ოჯახით თანაუგრძნობს მთვარისა ნიკაძეს მეუღლის
**რეზო გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ამბერკი სილაგაძე ოჯახით იუწყება
**მურმან ტრიფონის ძე კვირკაშვილის**
გარდაცვალებას.

---

ნინა ლეთოდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ამირან, გოგი კვირკაშვილებს ბიძის
**მურმანის**
გარდაცვალების გამო.

---

ხანძარსაწინააღმდეგო პოლიციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცირა, იური ბევრელებს დედისა და სიდედრის
**ცაცა სილაგაძის**
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი, ვლადიმერ დავითულიანებს
**თემურ ურთმელიძის**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა